ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 25 (10012) • 24 ivnisi • 2013 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

## შემობრუნება კოალიციისკენ -შანსები საკრებულოს თავმჯდომარის არჩევისას




ორშაბათს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიონ. კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალ პარტიებს საკრებულოში ერთი წარმომადგენელი ჰყავს, –დიმიტრი კვერღელიძე. მოქმედი საკრებულო 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად დაკომპლექტდა და ეს ერთადერთი მანდატი „რესპუბლიკელების"და „თავისუფალი დემოკრატების"ერთობლივი საარჩევნო ბრძოლის მონაპოვარია. კარგია, როცა თანამებრძოლების გუნდიდან ერთ-ერთს შესაძლებლობა ეძლევა გახდეს საკრებულოს თავმჯდომარე. ჩვენ კვლავ ვიზიარებთ და ერთგული ვართ 2010 წლის შეთანხმების პრინციპების (რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა და განმტკიცდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას) და დაინტერესებული ვართ ჩვენი პარტნიორის, „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერის დიმიტრი კვერღელიძის გამარჯვებითა და წარმატებით.

საპარლამენტო არჩევნებში, კოალიცია „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ ჩვენ მუდმივად ვიმეორებთ, რომ რეგიონში არსებული პრობლემების ეფექტური გადაჭრისათვის აუცილებელი იყო მხოლოდ გუნდური, კოალიციური პასუხისმგებლობის აღება, წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ინტენსიური სათანამშრომლო ფორმატის ჩამოყალიბება, როგორც კოალიციის შიგნით, ასევე მოქალაქეთა ჯგუფებთან და გაერთიანებებთან.

სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან საჯაროდ არაერთხელ გაჟღერებული მიზეზის გამო. არასასურველი მდგომარეობის (რომელსაც რამდენიმე თვის წინ ვაპროგნოზირებდით) შექმნაში მთავარი პასუხისმგებლობა პარტია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს"ადგილობრივ ხელმძღვანელობას აკისრია.

ის, რომ ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ (ამავე დროს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს"პოლიტსაბჭოს წევრმა) საჯაროდ მხარი დაუჭირა დიმიტრი კვერღლიძის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოყენებას უდაოდ მისასალმებელი ფაქტია, რომელიც შეიძლება შემობრუნების წერტილად იქცეს კოალიციის შიგნით პარტიებს შორის ურთიერთობის გაჯანსაღებასა და თანამშრომლობის გაღრმავებაში.

კარგია, რომ ოზურგეთის საკრებულოს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ" ასევე საჯარო თანადგომა აღუთქვა „თავისუფალი დემოკრატების"ხელმძღვანელს.

რაც მთავარია, თავად დიმიტრი კვერღელიძე საჯაროდ იძლევა პირობას, რომ მისი საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში, დასრულდება ერთპიროვნული და ერთი ჯგუფის მიერ გადაწყვეტილებების მიღების ხანა და მისი საქმიანობა დაეფუძნება პარტიებს, ჯგუფებს შორის კოორდინაციას, თანამშრომლობასა და კონსენსუსს.

ეს ჯანსაღი, რაციონალური და პასუხისმგებლობის მატარებელი პოზიცია ემთხვევა ჩვენს მოსაზრებებსა და იმსახურებს მხარდაჭერას.

**ტიფო მიქატაძე,**

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

22.06. 2013 წ.

## გიგი წერეთელი ნაციონალთა აქტივს შეხვდა

გაზეთი ალიონი




21 ივნისს, საქართველოს პარ;ლამენტის უმცირესობის წარმომადგენელი გიგი წერეთელი ოზურგეთის სამხარეო ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში დახურულ რეჟიმში ნაციონალთა აქტივს შეხვდა. შეხვედრის დაწყების წინ გიგი წერეთელმა ჟურნალისტებთან მოკლე კომენტარი გააკეთა.

მისი თქმით, მათი პარტია იმყოფება ექსტრაორდინალურ სიტუაციაში, არის ზეწოლა, რისი დასტურია პარტიის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაპატიმრება. აქედან გამომდინარე საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტებში შეხვედრებს მართავენ თავიანთ აქტივთან. მან დღეს შეხვედრა ჩოხატაურშიც გამართა.

ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილის მიერ პოსტის დატოვება გიგი წერეთელმა მმართველი გუნდის მიერ ზეწოლად შეაფასა და თქვა, რომ ამჟამად ოზურგეთის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობა უმცირესობაშია და ისინი თავიანთ კანდიდატს არ დაასახელებენ.

გიგი წერეთელმა ტვ-9-ს და ბეჭდური მედიის წარმოამდგენლებს შეხვედრის დასაწყისის გადაღების უფლება დართო და „აქტიური მედია"უწოდა.

შეხვედრას ნაციონალების აქტივისტების გარდა გურიის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

## დიმიტრი კვერღელიძე არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედიას შეხვდა

გაზეთი ალიონი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, კოალიცია „ქართული ოცნების" წევრი, „თავისუფალი დემოკრატების" ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დიმიტრი კვერღელიძემ, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმდჯომარეობის კანდიდატმა შეხვედრა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებთან გამართა. შეხვედრის დასაწყისშივე მან არასამთავრობოთა მუშაობა კარგად შეაფასა და თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში ორმხრივ თანამშრომლობაზე გაამახვილა ყურადღება.

— ჩვენ ცოტა დრო გვაქვს, ადამიანებთან სიკეთე მივიტანოთ, ჩემი მიზანია თქვენი მონაწილეობა იყოს გაზრდილი, როგორც საკანონმდებლო, ისე აღსრულებითი მუშაობის დროს.

არანაირი ბარიერი არ უნდა არსებობდეს საკრებულოსა და მოქალაქეებს შორის, მით უფრო ჟურნალიტებისათვის. მოიხსნება საშვთა სისტემა. ყველა თანაბარ პირობებში იმუშავებს, პრივილიგიები არ იქნება.

მისივე თქმით, დაიხვეწება საჯარო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები და ის მაქსიმალურად მოკლე ვადაში მიეცემა დაინტერესებულ პირს. კრიტიკულად შეაფასა საკრებულოსთან არსებული დარბაზის მუშაობა. ლევან ხინთიბიძემ შეკითხვაზე, თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში დაიგეგმება თუ არა დარბაზის დებულების განახლება, დადებითი პასუხი მიიღო.

— საკრებულოსთან არსებული დარბაზი ვერ მუშაობდა ეფექტურად. იგი უნდა გახდეს ძლიერი ინსტიტუტი და აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი არასამთავრობო, სამოქალაქო სქტორი, მედია. უნდა განვითარდეს ინტელექტკლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ავთანდილ სირბილაშვილი. ჩვენ უნდა შევკრიბოთ ჯანსაღი საზოგადოება.

საზოგადოებაში არსებული კითხვა საატესტატო - საკონკურსო კომისიის შესახებ თამაზ ტრაპაიძემ დასვა.

—საატესტაციო-საკონკურსო კომისიის მუშაობა იქნება გამჭირვალე. მასში შევლენ არასამათავრობო და მედიის წარმომადგენლებიც. მუნიციპალიტეტში ყველა თანამდებობა იქნება ვაკანტური, მათ შორის გამგებლის. ისაუბრა სასოფლო-სამეურნეო ბარათებით სარგებლობის ნაკლოვან მხარეებზე, რაშიც ადრინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები დაადანაშაულა, აღნიშნა, რომ ამ ბარათთა სიკეთით ძირითადად ნაციონალთა მომხრეებმა ისარგებლეს, რადგან მონაცემები მათივე მომზადებული იყო.

დიმიტრი კვერღელიძე აიპების თემასაც შეეხო. განაცხადა, რომ აიპებში ყოველწლიურდ 0,5 მილიონი ლარი იხარჯება არამიზნობრივად, მათ უნდა დაასაბუთონ ამ თანხების ხარჯვის მიზნობრიობა. მანვე აღნიშნა, რომ ოზურგეთის ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს 45 პროცენტს, ხოლო სოციალურის წლი მხოლოდ 7 პროცენტს. ზოგადად ტრანსფერების ფორმულა არასამართლიანია. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკრედიტო ბანკის შექმნას.

შეხვედრაზე დაისვა საკითხი ქალაქის განვითარებაზე.

—ქალაქის გლობალური განვითარების არანაირი გეგმა არ არსებობს—აღნიშნა დეპუტატმა.

შეხვედრაზე მრავალ პრობლემატურ საკითხზე იყო საუბარი. მათ შორის ოზურგეთის „აქილევსის ქუსლზე"—წყლის პრობლემაზე, სადაც 7 მილიონ 600 ათასი ლარი დაიხარჯა და პრობლემა პრობლემად დარჩა.

ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის წარმომადგენელმა ლევან მჟავანაძემ სკოლების პრობლემებზე და პანდუსების მოწყობის თემებზე დასვა კითხვა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის პირებმა შეძლონ საზოგადოებაში ადაპტაცია.

—დიმიტრი კვერღელიძე არჩევის შემთხვევაში გამოიყენებს თუ არა კანონით მინიჭებულ უფლებას და დაასახელებს მოადგილის ახალ კანდიდატურას?—ეს კითხვა იურისტმა ირაკლი პაპავამ დასვა.

—არჩევის შემთხვევაში არ ვაპირებ მოადგილის შეცვლას. ის ერთ-ერთი კარგი კადრია. დეპუტატთა ამ კორპუსთან და აპარატთან ერთად ვაპირებ ჩემი გეგმების განხორციელებას, რაც კოალიცია „ქართული ოცნების" მიზანსს შეადგენს. —აღნიშნა კვერღელიძემ.

## „კუდის ძირითადი მოთხოვნა იყო, არავითარ შემთხვევაში არ ჩაგვერთო ჩვენს სამაუწყებლო ბადეში ტელეკომპანია „მაესტრო"



ექსკლუზიური ინტერვიუ შპს „მადის დირექტორთან ავთანდილ დევიძესთან

▶▶▶ გვ-2,3,4

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 24 ივნისი ორშაბათი | 25 ივნისი სამშაბათი | 26 ივნისი ოთხშაბათი | 27 ივნისი ხუთშაბათი | 28 ივნისი პარასკევი | 29ივნისი შაბათი | 30 ივნისი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე | მზე | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი |
| +16+26 | +17+28 | +16+28 | +17+29 | +17+29 | +18+28 | +19+29 |

# „კუდის ძირითადი მოთხოვნა იყო, არავითარ შემთხვევაში არ ჩაგვერთო ჩვენს სამაუწყებლო ბადეში ტელეკომპანია „მაესტრო“

ნუგზარ ასათიანი



შარშან, სექტემბრის დასაწყისში, ტელეკომპანია „მადის“ დირექტორმა ავთო დევიძემ დამირეკა და მითხრა: –გუშინ, საღამოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი საჯარო მოხელეები მორიგ „შავ სიებს“ განიხილავდნენ. ამ სიებში ორთავენი ოჯახის წევრებთან ერთად ვართ შეყვანილიო. ეს ის დრო იყო, როდესაც საჯარო მოხელეებს ოზურგეთის „თეთრ სახლში“ ხან მეორე და ხან მესამე სართულებზე იბარებდნენ სხვადასხვა კაბინეტებში და ჩვენნაირი განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების „დასამუშავებლად“ ათასგვარ დავალებებს აძლევდნენ. იმ პერიოდში სხარტულასავით გავრცელდა ერთ-ერთი მსხვილი მაღალჩინოსანის „დამოძღვრის“ ტექსტი : „ამ სიას თვალისჩინივით გაუფრთხილდი. ღამით რომ არ დაგავიწყდეს, ბალიშის ქვეშ ამოიდევიო...“

იმავე დღეს ნაციონალების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო შტაბში მივედი. რამაზ ნიკოლაიშვილი არ იყო ადგილზე. თბილისიდან ჩამოყვანილ პიარ-მენეჯერს ჯილდას (იქ ორი ქალბატონი კიდევ იმყოფებოდა) განვუცხადე:–19 აგვისტოს ოჯახის წევრებთან ერთად დამკავა სპეცრაზმმა. ახლა ადგილობრივებიც რაღაცას გვიპირებენ. ისღა დამრჩენია ბრიფინგი გავმართო და უცხოეთის საელჩოებს მივმართო მეთქი...

ავთო დევიძეს რამდენჯერმე ვთხოვე, ჩვენი გაზეთის საშუალებით მასზე განხორციელებულ ზეწოლების შესახებ მიეწოდებინა ინფორმაცია საზოგადოებისათვის. ინტერვიუზე თანხმობა მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა. ინტერვიუ ძალიან ემოციური გამოდგა. გთავაზობთ ჩვენი საუბრის სრულ ტექსტს.

**–ბატონო ავთო, მიდით საუბარი ტელეკომპანია „მადის“ ისტორიით დავიწყოთ...**

–საკაბელო-სატრანზიტო ტელეკომპანია "მადი" ფუნქციონირებს 2002 წლიდან. ფლობს შესაბამის ლიცენზიას და მიღებული აქვს უფლება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან, მაუწყებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის, ქ. სენაკის, ქ. ფოთის, ქ. სამტრედიის, ქ. ქობულეთის, ქოზურგეთის, ქ. ლანჩხუთის, დაბა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე ურეკის შავი ზღვის პირა ზოლში. ლიცენზია მიღებული გვაქვს როგორც საკაბელო, ასევე საკაბელო-სატრანზიტო (ეთერით) მაუწყებლობაზე. ასევე 2004 წლიდან 2010 წლამდე ვფლობდით საერთო მაუწყებლის ლიცენზიას. ვქმნიდით საკუთარ ტელეპროდუქციას, გვქონდა საინფორმაციო გადაცემა "ობიექტივი" და ყოველკვირეული, კვირის საინფორმაციო ანალიტიკური გადაცემა "კვირიონი". თავიდანვე ბიზნესი აეწყო და ვითარდებოდა დიდი წარმატებით. 2005 წლისათვის მომხმარებელთა (აბონენტები) საერთო რაოდენობამ 3500 გადააჭარბა, მოთხოვნა იმდენად დიდი იყო ჩვენი სერვისით მომსახურეობაზე, რომ პრაქტიკულად შეკვეთების დაკმაყოფილებას დიდი გაჭირვებით ვუმკლავდებოდით. აღსანიშნავია, რომ ეს სისტემა (ეთერით საკაბელო მაუწყებლობა) საქართველოში პირველად ჩვენს მიერ იქნა დანერგილი. ბიზნესი იმდენად წარმატებულათ ვითარდებოდა, რომ ხშირად ვეხმარებოდით ბიუჯეტს დამატებითი თანხების მობილიზაციაში, ერთხელ პირადად ფინანსთა მინისტრ ნოღაიდელისაგან საყვედური და მკაცრი გაფრთხილებაც კი მივიღეთ ბიუჯეტში გადასახადების წინასწარ შეტანის გამო. რეგულარულად დავიწყეთ ქველმოქმედებაც, ყოველწლიურად (2002-2 წ.წ.) ვეხმარებოდით სადღესასწაულო დღეებში და განსაკუთრებით საახალწლოდ 100 პენსიონერს, 50 უპატრონო ბავშვს, ორ ბავშვთა სახლს (ძირითადად პროდუქტებით). დავიწყეთ პროგრამა (ანონიმური) ნარკომანთა მკურნალობის შესახებ და დავაფინანსეთ 5-ნარკომომხმარებლის მკურნალობა. 2004 წ. ოზურგეთის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოს შეუძინეთ და უსასყიდლოდ გადავეცით უმაღლესი დონის სამედიცინო აპარატურით დაკომპლექტებული (სპეც. შეკვეთა) ახალი რეანომობილი. ოზურგეთის რაიონისათვის შევიძინეთ პირველი (საზ.მაუწყებელი) არხის ახალი სატელევიზიო სადგური. კურორტ ბახმაროსათვის სატელევიზიო სადგური. დაგეგმილი გვქონდა რეანომობილების შეძენა ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებისათვის. ჩოხატაურის რაიონისათვის პირველი არხის სატელევიზიო სადგურის შეძენა. ოზურგეთსა და ჩოხატაურში რადიოსადგურების შეძენა. ქ. ოზურგეთში ვაშენებდით საცურაო აუზს. უკვე 2004 წელს დავიწყეთ ზრუნვა და 2006 წელს განვახორციელეთ კიდეც სატრანზიტო მაუწყებლობის ციფრულ ტექნოლოგიებზე გადაყვანა. ქ. ოზურგეთში საფუძველი ჩავუყარეთ და დავიწყეთ კიდეც თევზის მეურნეობის განვითარება. შეიქმნა 100-მდე ახალი სამუშაო ადგილი, მომზადდა 20-მდე ტელეკომუნიკაციების საკმაოდ მაღალი სპეციალისტი და მრავალი სხვა. თუმცა თანდათანობით ვგრძნობდით, რომ ჩვენი ეს წარმატებული საქმიანობა ვიღაცეებს აღიზიანებდა.

**–როდის დაიწყო თქვენი შევიწროება?**

–პირველი ნიშანი ამისა ვიგრძენით 2006 წელს, როცა მოულოდნელად გამოჩნდა რომელიღაც ფირმა (ვ. მღებრიშვილი) და განმიცხადეს, რომ მათ გააჩნიათ ლიცენზია მთელი საქართველოს მასშტაბით (ზუსტად ჩვენი სიხშირეები) და იწყებდნენ საკაბელო-სატრანზიტო ქსელის მშენებლობას ჩვენს სამოქმედო ზონაში. როდესაც ამ ფირმით დავინტერესდი, აღმოჩნდა, რომ მას, პრაქტიკულად ყველა სახის ტექნიკური სახის საბაზისო მონაცემები ჩვენგან ჰქონდა ჩუმად წაღებული, ჩვენივე ყოფილი თანამშრომლის მეშვეობით, რომელსაც თავის დროზე საცხოვრებელი ბინის შეძენაში დავეხმარე, და რაც ყველაზე უფრო საწყენი იყო, ამ ფირმამ ისევ ჩვენი ყოფილი თანამშრომლის ხელით მიიღო საზღვარგარეთ ჩვენი პარტნიორების საკონტაქტო მონაცემები და ჩემი სახელით სარგებლობდნენ კიდეც ჩემს საზღვარგარეთელ მეგობრებთან და პარტნიორებთან ურთიერთობის დროს. პირველად მაშინ მომიწია საკმაოდ სერიოზული შეხლა-შემოხლა საქ. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან, თუმცა კომისიამ მაშინ უკან დაიხია და ეს ლაფსუსი მალევე გაასწორა. სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისთანავე დაგვეძაბა ურთიერთობა აჭარაში, ვერაფრით ვერ მივაღწიეთ ქობულეთსა და ქ. ბათუმში საქმიანობის დაწყებას, რომელსაც არაფრით არ გვანებებდა ძველი ხელისუფლება, თუმცა კანონით მათ ამის უფლება არ ჰქონდათ. მოულოდნელად დაიძაბა ურთიერთობა გურიის კუდის ხელმძღვანელობასთან.

**–რა გახდა კუდის განაწყენების მიზეზი?**

– სულ უბრალო მიზეზი იყო. რატომღაც სხვა ძალოვანი სტრუქტურებიდან განსხვავებით, ისინი სისტემატურად ვერ იხდიდნენ ჩვენი მომსახურეობისათვის განსაზღვრულ სააბონენტო გადასახადს და როცა ამის გამო მათ მომსახურეობა უწყდებოდა (კომპიუტერული პროგრამა ავტომატურად თიშავდა დავალიანების მქონე აბონენტებს), ეს იწვევდა მათ (განსაკუთრებით უფროსის) სასტიკ გაღიზიანებას, თუ როგორ ვუბედავდით მათ მომსახურეობის გათიშვას და არა ერთხელ მოხდა შელაპარაკებაც კი მაშინდელ კუდის უფროსსა და ჩემს შორის (2006-2007), **აკი დაგემუქრა კიდეც, შენს შვილს სამშობლოს ღალატის მუხლს გამოვუცხობო.** არ ვიცი ვისი მითითებით, მაგრამ ნელ-ნელა დაიწყო ჩემი შვილების (სამი ვაჟი) რეგულარული შევიწროებაც, ხშირი დაკავებები. იყო შვილებზე პირადი მუქარებიც ( კუდი, პოლიციის სამმართველო). განსაკუთრებით მაოცებდა შუათანა და უმცროს შვილზე განხორციელებული მუქარები, რამე თუ ჩემის ღმა რწმენით (და ამას დაადასტურებს მთელი ქალაქიც და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს თვით ძალოვნებიც კი, ალბათ) ისინი სანიმუშო ახალგაზრდები არიან სწავლითაც, შრომითაც და ა.შ. ნელნელა დაიწყო ჩვენი ორგანიზაციის უკუსვლაც. პრაქტიკულად სამსახურისათვის აღარც მეცალა, გაჭირვებით ვუმკლავდებოდი ამდენ შემოტევას.

**სისტემატურად მაფრთხილებდნენ ნაცნობი და ახლობელი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომ ჩემზე და ჩემს ოჯახზე მიდიოდა ფარული მუშაობა და ინტრიგების ხლართვა, თუ თავს დროზე არ ვუშველიდი და არ გავარკვევდი რაღაცეებს, აუცილებლად დამიჭერდნენ, ოღონდ არავინ მეუბნეოდა ეს რაღაცეები რა იყო.**

ამ დროისათვის , ჩემი უფროსი შვილი უკვე დაჭერილი (2007) იყო ოჯახური კონფლიქტის გამო და მისჯილი ჰქონდა 7,5 წელი, ხულიგნობის ბრალდებით (რაც უბრალოდ აბსურდი იყო). მეორე მხრიდან მიტევდა მარეგულირებელი კომისია. უკვე თუ არ ვცდები 2008 თუ 2009 წელს მოულოდნელად მესტუმრენ მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლები და განმიცხადეს, რომ ჩემი კუთვნილი სიხშირეებიდან ნაწილი უნდა ჩამოერთმიათ და გადაეცათ სხვისთვის, როცა ვიკითხე თუ ვისი დავალებით მოქმედებდნენ, გადაკვრით მიმანიშნეს-ამის უფლება კომისიაში ერთ კაცს აქვსო.-

**ყველაფერი მაშინ გახდა ნათელი ჩემთვის, როცა მოულოდნელად დამიბარა გურიის მაშინდელმა გუბერნატორმა, ბ-მა რამაზ ნიკოლეიშვილმა და წამოიყენა პრეტენზია, უფრო სწორად დაისვა შეკითხვა, მართალი იყო თუ არა, რომ თითქოს მე ვიყავი ოზურგეთში ოპოზიციური ძალების სულისჩამდგმელი**

(უნდა ვაღიარო, რომ ბ-ნი რამაზი ძალიან ტაქტიანი იყო და არავითარი ზედმეტი არ უკადრებია). მან ყურადღებით მოისმინა ამასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია, დამამშვიდა და საკმაოდ კარგად დავშორდით ერთმანეთს. იმ დღესვე დავადგინე, რომ ეს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაც გურიის კუდის დამსახურება იყო. უკვე რეალურად დავინახე და ვიგრძენი, რომ ჩემი საქმე უკვე ძალიან ცუდად იყო და დავიწყე ზრუნვა, რომ როგორმე თავი დამეღწია ამ მარწუხებიდან. უკვე რეალურად ვგრძნობდი საფრთხეს იმისა, რომ ერთ დღეს დამიძახებდნენ და ტელევიზიის დათმობას მომთხოვდნენ, ამის მინიშნებები იყო არაერთი, ჩემი საახლობლო წრიდან. ჩემს პარტნიორთან შეთანხმების შემდეგ, ვიდრე გაგვინაგურებდნენ ოჯახებს (ეს საქმე არ იცოდენ თუ რა) გადავწყვიტეთ ტელევიზია გაგვეყიდა. ამის შესახებ ჩავაყენე საქმის ყურში, მარეგულირებელი კომისიის ერთერთი დეპარტამენტის თა-ვრე ბ-ნი გიორგი რატიშვილი და ვთხოვე კონსულტაციები გაეწია ჩემთვის, თუ როგორ მემოქმედა.

**მას შემდეგ, რაც ცოტა ხნის შემდეგ ბ-ნი გიორგიდან მივიღე კონსულტაცია, რჩევა, თუ ვისთვის შემეძლო (იმისათვის, რომ არ გაღიზიანებულიყო ხელისუფლება) მიმეყიდა და ვისთვის არა ჩემი ბიზნესი, ნათელი გახდა, რომ ამის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ბ-ნმა გიორგიმაც დანანებით დამიდასტურა ჩემი ვარაუდი.**

რჩებოდა ერთად-ერთი გზა, დავლოდებოდი მოვლენების განვითარებას. ვეღარც განვითარებაზე ვზრუნავდი, ის კი არა და რაც გვქონდა იმასაც ვეღარ ვინარჩუნებდით, საქმეები ყოველდღიურად უკან უკან მიგვდიოდა, არავის აღარ გვეცალა მუშაობისათვის. აქეთ ორი შვილი ციხეში, აქეთ ჩემზე მიმდინარე ყოველდღიური ზეწოლები.

**–კონკრეტულად მაინც რაში გამოიხატებოდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ზეწოლა...**

**–2006-2007 წწ. პრაქტიკულად ჩვენი საეთერო ბადის კონტროლს კუდი ახორციელებდა. ძირითადი მოთხოვნა კი იყო, არავითარ შემთხვევაში არ ჩაგვერთო ჩვენს სამაუწყებლო ბადეში ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემები და რუსული საინფორმაციო არხები, რომლებთანაც შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმებული გვქონდა (ორტ; ნტვ).**

იგივე მითითებები, ოღონდ სიტყვიერი, მოდიოდა რეგულარულად მარეგულირებელი კომისიიდანც, მაფრთხილებდნე კიდეც (მაპატიეთ, წყაროებს ვერ დავასახელებ) კომისიის ზოგიერთი თანამშრომლები-ავთო, შენ ისეთ დღეში ხარ, „მაესტროს“ და რუსული საინფორმაციო არხების ჩართვა და შენი დაჭერა ერთი იქნებაო. ამას კი ვეღარ ვუძლებდი, წარმოიდგინეთ, სამი პატიმარი ერთ ოჯახში, ეს ხომ სიგიჟეა და მეტი ამას სახელი არ ჰქვია. როგორც იქნა გადაგორდა ის ავადსახსენებელი საპრეზიდენტო არჩევნები. ცოტა სული მოვითქვით, ისე მკაცრად აღარ გვაკონტროლებდნენ. მაგრამ მოახლოვდა საპარლამენტო არჩევნები, და დაიწყო ყველაფერი თავიდან. 2008 წელს, ჩვენი ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციურმა პარტიებმა (ძირითადად „ეროვნული ფორუმი“) მოაწყვეს მიტინგი, მოითხოვდნენ ჩვენს ქსელში ჩაგვერთო ტელეკომპანია „მაესტროს“გადაცემები. მე ადგილზე არ ვიმყოფებოდი და ჩემმა პარტნიორმა გასცა მათ ნორმალური პასუხი, თუ ყველაფერი კანონიერად იქნებოდა, ჩვენი კომპანია ხალხის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა და რომ მათ მოთხოვნას აუცილებლად გადმომცემდა მე.. ჩემი პარტნიორის ეს განცხადება დაიბეჭდა რომელიღაც ცენტრალურ გაზეთში (არ მახსოვს რომელში) მოგვივიდა კიდეც „მაესტროდან“ შესაბამისი ხელშეკრულება. არ დავმალავ, მართლაც გავამზადე ტრაქტი და მოვამზადე აპარატურა, ეს დაუყონებლივ გახდა ცნობილი კუდისათვის, პირადად კუდის უფროსი მომივარდა სახლში და იძულებული გავხდი ჩემივე ხელით მომეხსნა აპარატურა, ეთერში გავიდა სულ 15-წამიანი ტექსტი. ალბათ ეს იყო უკანასკნელი წვეთი მაშინდელი ხელისუფალისათვის. ჯერ დამიბარეს მარეგულირებელ კომპანიაში და მომთხოვეს ჩვენს მიერ უკვე შეძენილი სიხშირეები, თავიდან შეგვეძინა აუქციონის წესით, თუმცა ლიცენზიის ვადა მხოლოდ 2014 წლის ბოლოსათვის მიმთავრდებოდა. ამ მოთხოვნას ამაგრებდნენ მათ მიერვე მიღებული კანონით, რომ ყველა კომპანიას სიხშირე აუცილებლად უნდა შეეძინა აუქციონის წესით. მესმის, რომ ეს შეიძლება შეეხოს ახალ შექმნილ კომპანიას, მაგრამ მოქმედთან რაღა უნდოდათ, ვერ ვხდებოდი. იგივე მოსთხოვეს კახეთის კომპანიასაც. მოიმიზეზეს, რომ მათ არ იცოდნენ და მე არ მქონდა წარდგენილი კომისიაში ფორმა თუ რომელ სიხშირეებზე ვმაუწყებლობდი, კინაღამ გავგიჟდი, თვალებში აშკარად ნაცარს მაყრიდნენ. სასწრაფოდ დავბრუნდი ოზურგეთში, ავიღე ასლები ყოველწლიური ფორმების და წარვუდგინე კომისიას, აი აქ კი გაიჭედენ, აღარ იცოდნენ რა ექნათ. უცბად გამოაცხადეს შესვენება, თუმცა ბოლოს უკან დაიხიეს და მათი ჭკუით პატივი დამდეს, განმიცხადეს, კარგი, აღარ დაგაჯარიმებთ 5 000 ლარით, მაგრამ სიხშირე აუქციონზე მაინც უნდა შეიძინოო, რაზეც კატეგორიული უარი განვაცხადე. კომისიის სხდომის შესვენების დროს გამიხმო გვერდზე კომისიის ერთ-ერთმა წევრმა (კ.ს) და მითხრა-ავთო, იქნებ დაფიქრდე, გაანალიზო რა ხდება, ჩათრევას ჩაყოლა ხომ არ სჯობიაო. შენ არ იცი ესენი ვინ არიანო, მაინც თავისას გაიტანენ და ისევ შენ დაიჩაგრებიო. მასაც უარი განვუცხადე, რა ვიცოდი თუ ეს კომისიის წევრი ჩემთვის სასარგებლო რჩევას მაძლევდა, მას ხომ გაცილებით მეტი ინფორმაცია ჰქონდა ვიდრე მე, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს. აკი გაკვრით დააყოლა კიდეც, ეს სიგიჟე და ეს განუკითხაობა დიდხანს არ გაგრძელდებაო. იმ დღეს კომისიამ უკან დაიხია, დამანებეს თავი.

**–ბუნებრივია ამ პროცესს გაგრძელება ექნებოდა...**

–დავბრუნდი ოზურგეთში, მეორე დღეს მივედი სამსახურში და მოულოდნელათ თავზე დამადგნენ ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები

მეტის გაძლება აღარ შემეძლო, ვგრძნობდი რომ

# „კუდის ძირითადი მოთხოვნა იყო, არავითარ შემთხვევაში არ ჩაგვერთო ჩვენს სამაუწყებლო ბადეში ტელეკომპანია „მაესტრო“

საკუთარ თავს ვეღარ ვაკონტროლებდი. დამიდეს დოკუმენტი და მკითხეს ჩემს მიერ იყო თუ არა გაცემული ეს სატრანსპორტო ზედდებული? დავხედე, ჩემი იყო, დახმარება აღმოვუჩინე ერთ-ერთ ახალ საკაბელო ტელეკომპანიას (თერჯოლის) რომელსაც ხშირად ვუწევდი კონსულტაციებს. ამ შემთხვევაში, მისთვის მიცემული მქონდა თუ არ ვცდები ოთხი ცალი, დემონტირებული, რომელიც მე აღარ მჭირდებოდა ექვს ვოლტიანი აკუმულატორი, რაღაც უმნიშვნელო ღირებულების. მომთხოვეს ამ სატრანსპორტო ზედდებულის ჩემი ეგზემპლიარი, იმ მომენტისათვის ნამდვილად ვერ ვიპოვე, მით უმეტეს იმ დროისათვის ჩვენს ორგანიზაციას დროებით ბუღალტერი არ ჰყავდა (ყოფილი სხვა ქალაქში გადავიდა). ეს გახდა ჩვენს ორგანიზაციაში, რევიზიის დაწყების ოფიციალური მიზეზი. რამოდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო რევიზია, ვაღიარებ, აუდიტის წარმომადგენლები საკმაოდ ობიქტურები იყვნენ, თანაც ანალიზი მიჩვენებდა და დარწმუნებული ვიყავი კიდეც, რომ სერიოზული დარღვევა არ უნდა მქონოდა. ყველაზე დიდს რასაც ველოდი იყო ბუღალტრული შეცდომები. მოწმდებოდა მთელი ხუთწლიანი პერიოდი (2004-2009). იმდენად ვიყავი საკუთარ თავში დარწმუნებული, ერთი წუთითაც კი არ მიცდია რევიზიის მუშაობაში რაიმე ფორმით ჩარევა, დავა ან კიდევ სხვა. მქონდა რა თქმა უნდა დარღვევები, იყო უსაბუთოდ შეძენილი რაღაც ნივთები, თუმცა აბსოლუტურად ყველა ბალანსზე იყო აყვანილი და შესაბამისად მასზე ქონების გადასახადის დამადასტურებელი დოკუმენტებიც არსებობდა, თუმცა ყველა მაინც დამალულ ნასყიდობად ჩამითვალეს. გენერალური მინდობილობით გვყავდა შეძენილი ავტომანქანები, შესაბამისად აღებული იყო ბალანსზე, მათზე ვიხდიდით ქონების გადასახადს, მაგრამ მაინც აღურიცხავად ჩამითვალეს, რატომ შპს-ეს სახელზე არ გყავს გაფორმებულიო. ჩაატარეს სკურპულიოზური ინვენტარიზაცია, ერთი საგანიც კი ვერ ნახეს რომლის დანაკლისად აღიარება შეიძლებოდა. მოხდა ასეთი ფაქტიც, რევიზიის დროს, გამორჩათ ერთი ტელევიზორი სათვალავში და შიდა მომსახურეობის რაცია, რომელიც ბალანსზე აყვანილი გვქონდა ორ კომპლექტად (კომპლექტში შედიოდა ორი, ა და ბ რაციები), ვინაიდან მათი რაოდენობა ოთხი იყო, ორი დამალულად ჩათვალეს, თუმცა თანხობრივად სხვაობა არ იყო (ორი კომპლექტის ფასი და ოთხი ცალი რაციის ფასი ერთი და იგივე იყო). მივანიშნე რომ ეს შეცდომა იყო, წავიყვანე და ვაჩვენე, რომ მათ შეეშალათ დათვლა, დამპირდენ გავასწორებთო, მაგრამ როცა აქტი შედგა, ეს ტელევიზორი მაინც დანაკლისში ეწერა, ორი ცალი რაცია კი მეტობაში.

**როცა კვლავ მივუთითე ამაზე, საგადასახადოს მუშაკმა ვინც ინვენტარიზაციას ატარებდა, პირდაპირ მითხრა, ბ-ნო ავთო თქვენთვის ამას რა მნიშვნელობა აქვსო, ეს სერიოზული დარღვევა მაინც არ არისო, ჩვენ კი მუშაობაში ჩაგვეთვლებაო!!!! გაოცებულმა შევხედე, გამიკვირდა ასეთი ზნედაცემული როგორ შეიძლება ყოფილიყო ახალგაზრდა ადამიანი. შევეკითხე, შენ ამაში პრემიას თუ მიგცემენ მეთქი, კიო მიპასუხა, მაშინ ჩაწერე დანაკლისად მეთქი. არ შერცხვა.**

როცა აქტი დაიწერა მაინც საკმაოდ ნორმალური იყო, ხუთი წლის შენამოწმებ საქმიანობაში, 17 000 ლარი არც იყო საგანგაშო და დაფარვაც შეგვეძლო, მაგრამ რატომღაც რევიზია ჩემთვის და ბევრისთვის მოულოდნელად მაინც გაგრძელდა. მოკლედ დიდი ბჭობისა და დავის შემდეგ ეს თანხა ავიდა 43 000 ლარზე. გაოგნებული ვიყავი, შემდეგ ამ ინვენტარიზაციის ჩამტარებელმა კომისიამ ხომ სასწაულები ჩაიდინა, რას წერდენ უკვე ვეღარც ვაკონტროლებდი. არაფრის თავი აღარ მქონდა, ძირი თანხა მაინც 43 000 დარჩა. მაინც გავიბრძოლე, 26 000 ლარი შევიტანე, ცოტაღა მქონდა დარჩენილი, თან ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოში საჩივარს ვამზადებდი, ადვოკატიც და აუდიტიც მარწმუნებდნენ, რომ რევიზიის აქტში ისეთი რაღაცეები წერია. მას დავების სბჭოზე გააცამტვერებდნენ, მაგრამ მივხვდი, რომ ამას აზრი აღარ ჰქონდა, აღარც შემეძლო მეტი ბრძოლა, აღარ შევიტანე საჩივარი დავების საბჭოში, ვიცოდი უარესს მიზამდენ, ჩემი დაჭერა ზევით სადღაც უკვე გადაწყვეტილი იყო, დიდი ალბათობით უარესი, უფრო მძიმე მუხლით დამიჭერდნენ (ამის ყველა პირობა სახეზე იყო, თანაც მეგობრებიც უკვე აშკარად მაფრთხილებდნენ). 2010 წლის 15-იანვარს დამაპატიმრეს...

**—საპროცესო შეთანხმებაზე რატომ არ წამოვიდნენ?**

—ქუთაისის ციხეში ყოფნის დროს, ორჯერ გამიყვანეს ღამით საკნიდან და ამიყვანეს სადღაც დიდ კაბინეტში, სადაც დამხვდა იმერეთი-გურიის კუდის უფროსის მოადგილე ბ-ნი შალვა ბოლქვაძე, მესაუბრა და მითხრა, სამწუხაროდ საპროცესოს არ გიკეთებენო. გაკვირვებულმა შევეკითხე, ასეთი რა დანაშაული ჩავიდინე, ხალხს მილიონები აქვს განაქრობი და მე 17 000 ლარის დაგვიანებით გადახდის გამო როგორ არ გამიკეთებდნენ საპროცესოს მეთქი.

**მან საკმაოდ თბილად და თავაზიანად შემომაპარა, იქნებ მეფიქრა ტელევიზიაში ჩემი (50%) წილს დათმობაზე, ეს კარგი საბაბი იქნება პროკურატურისათვის საპროცესოზე დათანხმდესო.. პირველ შეხვედრაზე უარი ვუთხარი. მეორე შეხვედრაზე უკვე თანხა შემომთავაზა, რა ფასად გაყიდი შენს წილსო. ბანკის ვალი მაქვს 200-000 დოლარი და ამას რას უზამთ თუ მე დავთანხმდი მეთქი შევეკითხე, არა კაცო, შენ კი არ გაგიშვებთ, გამუშავებთ ჩვეულებრივად და იქიდან დაიფარება ეგ ბანკის ვალიო, გამაბედნიერა მისი ჭკუით.**

შემდეგ დავუსახელე ისეთი თანხა, რომ ლაპარაკის სურვილი დაეკარგა. ამ შეხვედრის მოწმეც არსებობს, ქუთაისის ციხის ადმინისტრაციიდან და ჩემს საკანში მყოფი პატიმრები, საკანში ხომ მოულოდნელად შემომიტანეს ხილის ნატურალური წვენების ბევრი პაკეტი (ეს ხომ მაშინდელ ციხეში ზღაპრის ტოლფასი იყო), ეს უკვე იყო ფაქტი იმისა, რომ მე ღამ-ღამობით ვიღაც სერიოზულ პიროვნებას ვხვდებოდი. ასე, რომ კუდმა წვენებით „დამასაჩუქრა“ და წავიდა. ამის გამო თანასაკნელები ცოტათი უნდობლადაც კი მიყურებდნენ პირველ ეტაპზე. იმ წვენებით ერთ-ერთი ჩვენი თანასაკნელის დაბადების დღე აღვნიშნეთ, მეორე დღეს. არ დაგიმალავთ იმ წვენების პირველად ძალიან გვეშინოდა, გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ არა, ეს აღარ უკადრებიათ. ციხეში ყოფნის დროს, დაჯდა საგადასახადო ჩვენთან ბუღალტერიაში, რაც კი თანხა შემოდიოდა პირწმიდად მიჰქონდათ და ბიუჯეტში შეჰქონდათ, ერთ თეთრს არ ტოვებდნენ. არანაირი ხელფასები თანამშრომლებს, არანაირი საწვავის ან სხვა რამე ხარჯის თანხა. ჩემმა ერთგულმა თანამშრობლებმა გაუძლეს, სულ მთლად არ გაანადგურეს ორგანიზაცია. ბევრმა ვერ გაუძლო, წავიდა, არც ვამტყუნებ მათ. სადღაც 167 000 ლარი ნაღდი ფული წაიღეს მაშინ. იმავდროულად თი-ბი-სი ბანკიც დამეძგერა და ჩვენი ქონების ყველაზე დიდი და საუკეთესო ნაწილი გადაიფორმა თავის თავზე, რადგანაც კრედიტის გადამხდელი უკვე არავინ იყო, ოღონდ მიზერულ ფასად, რა უნდა მექნა. ბანკი მაინც ბანკია, მართალი იყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ბანკის მიერ წაღებული ქონება შევაფასებინე ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მათ მისი ღირებულება ორჯერ უფრო ძვირად შეაფასეს.

**—საკაშვილის მიერ გამოცემული განკარგულება ტელეკომპანიებისათვის ვალების ჩამოწერის შესახებ არ შეგეხოთ?**

—2010 წლის 1-მარტს სააკაშვილმა გამოსცა განკარგულება და საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ტელეკომპანიებს ჩამოეწერათ ყველა სახის საგადასახადო დავალიანებები, მათ შორის დარიცხული ჯარიმებიც. ყველას ჩამოაწერეს ჩვენს გარდა.

**სასამართლო პროცესზე, როცა პროკურორმა ოლეგ გრძელიძემ, კატეგორიულად უარი განაცხადა ჩემი ადვოკატის შუამდგომლობაზე საპროცესო შეთანხმების შესახებ, მე მას პრეზიდენტის ახალი განკარგულება შევახსენე და უთხარი, ვერანაირად ვერ მომისჯით მეთქი, ცინიკურად ჩაიცინა და მიპასუხა, მე მასეთ განკარგულებას არ ვიცნობ და შენმა ადვოკატმა ეძებოს ეგ განკარგულებაო.**

მესამე თუ მეოთხე პროცესზე ეს 17 000 ლარი უკვე დაფარული იყო, მაგრამ საპროცესო შეთანხმებაზე მაინც უარს მეუბნეოდნენ, უკვე იმ მოტივით, რომ თანხის რაღაც უმნიშვნელო ნაწილი სწორად არ იყო ასახული ანგარიშზე, საგადასახადო ამას აბრალებდა ბანკს (რაც აბსურდი იყო) ბანკი კი თავის მხრივ საგადასახადოს. სპეციალურად შვრებოდა რომელიღაცა ორგანო, რომ ძირი თანხა არ შევსებულიყო. ბიუჯეტში ჩვენი ორგანიზაციის მიერ თანხას რეგულარულად აკლდა 500- 800 ლარი. ვიღაცის მარჯვე ხელი ამ თანხებს სხვა ანგარიშებზე უშვებდა, ბოლოს პროკურორმა გრძელიძემ სასამართლოზე აღიარა, რომ თანხა დაფარული იყო, თუმცა საპროცესო შეთანხმებაზე ჯერ კვლავაც არ იყო ნებართვა თბილისიდან. შემდეგ გამოვიდა კანონი, რომ ნაცვლად 25 000ლარისა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღძვრა გაიზარდა 50 000 ლარამდე, კანონს უკუძალა ჰქონდა. არც ამ კანონმა მიშველა, არ შემახეს. რვა თვე ციხეში გამატარებინეს. უკვე ფსიქოლოგიურად მომზადებული ვიყავი, რომ ოთხ წელს მისჯიდნენ, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გირაოთი გამანთავისუფლეს და საქმე არ დახურეს. საქმე შემიწყვიტეს მხოლოდ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ 2012-წლის 23-დეკემბერს და გირაოც დამიბრუნეს. რამდენი სასამართლო პროცესი ჩამიტარეს აღარც კი მახსოვს, ათეულობით იზომება. დამხვდა განადგურებული, გაპარტახებული ორგანიზაცია. კიდევ ვეებერთელა ჯარიმებითა და 18-მდე სახის ყადაღა დადებული. როგორც კი დამიჭირეს დაახლოებით ათ დღეში მარეგულირებელმაც დამაჯარიმა 10 000 ლარით. მოკლედ კატასტროფული სიტუაცია. მაინც არ გამიძლო გულმა, დიდი იყო პასუხისმგებლობა ჩემი ასაკოვანი პარტნიორის წინაშე, ოჯახის წინაშე, რომელიც ჩემი ბიზნეს საქმიანობის გამო ლამის განადგურდა მორალურადაც, ეკონომიურადაც და მაინც გავბედე ყველაფრის თავიდან აღდგენა.

**—არ გქონდათ შიში, ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა?**

—აი აქ უკვე მელოდა სრული ფიასკო. სულ რაღაც თვეების გამოსული ვიყავი ციხიდან, როცა დამირეკა მარეგულირებელი კომისიის ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბ-მა გიორგი რატიშვილმა და მითხრა, —ავთო სულ მალე ოზურგეთში ვიქნები და შენი ნახვა მინდაო. არ დავმალავ ძალიან გამიკვირდა, მისი ასე გაუფრთხილებლად სტუმრობა. გულმა ცუდი მიგრძნო, მაგრამ ბ-ნ გიორგი რატიშვილს იმდენად დიდ პატივს ვცემდი, ისე მჯეროდა მისი (არა მარტო მე) თავისი სამართლიანობისა და ადამიანურობის გამო, უკუვაგდე ჩემი ეჭვი და დავიწყე მზადება მის შესახვედრათ. სახლში ვიყავი უკვე, როცა მოვიდა. უცებ მანქანიდან გარდა გიორგისა გადმოვიდა ვიღაც პიროვნება, უმალვე ვიცანი, ეს იყო ბ-ნი გამყრელიძე, სატელევიზიო შოუს, „ვის უნდა ოცი ათასი“ წამყვანი. მანქანაში მსხდომი ორი ქალბატონი არ გადმოსულან დაბლა. შევიპატიჟე სახლში. ბ-ნ გიორგის სახეზე საშინელი ნერვიულობა ეტყობოდა. როგორც კი დავსხედით, გიორგიმ მითხრა-ავთო, მე ვარ დავალებით ჩამოსული, ეს არ არის ჩემი ინიციატივა, ეს მოდის ზემოდან და გთხოვ, კარგად გამიგო, ცოდვა ხარ, კიდევ ნუღარ დაიმატებ პრობლემას, რომელიც უკვე გამზადებულია შენთვისო (გამყრელიძეს აშკარად დაეტყო, რომ არ ესიამოვნა გიორგის ეს სიტყვები), საერთო მაუწყებლის ლიცენზია უნდა დათმოო, აგერ არის ბატონი ვისაც უნდა გადასცე ეგ ლიცენზია, დანარჩენზე თქვენ ილაპარაკეთო- მიგვატოვა და ოთახიდან გავიდა. ენა ვერ დავძარი, გაოგნებული ვიყავი, თავში ერთი აზრი მიტრიალებდა, ნუთუ სულ აღარაფერი აღარ არსებობს ამ ქვეყანაზე, ცოდვა-მადლი, ერთი კი უთხარი გიორგის, მე შენი მჯერავს და ვიცი რასაც გულისხმობ მაგ სიტყვებში მეთქი. უაზროდ ვიყურებოდი სადღაც, მხოლოდ გამყრელიძის ბლანჟე მაღიზიანებდა, რომელმაც განმიცხადა, შენს ორგანიზაციას ჯარიმა აქვს დადებული 10-000 ლარი მარეგულირებელი კომისიიდან, მაგ თანხას თუ შენ ლიცენზიას დათმობ, მე გადაგიხდიო. არ ვიცი საიდან წამოვროშე, ხავსს მოვეჭიდე ალბათ და ვკითხე;—კი მაგრამ 10 000 ლარის დღგ-ეს ვინ გადაიხდის მეთქი? მაგასაც ჩვენო. ეს იყო სულ. წავიდნენ. მესამე დღესვე ჩამიყვანეს თბილისში, დამხვდა იქ გამყრელიძე, შემიყვანეს ბ-ნ კახი ყურაშვილის (იურიდიული დეპარტამენტის თავჯდომარე) კაბინეტში, —თანახმააო, უთხრა ყურაშვილს. ბ-ნი კახა გაოცებული მიყურებდა. ძალიან გაღიზიანებული ტონით უთხრა რაღაცა გამყრელიძეს, აშკარად არ სიამოვნებდა ამ საქმეში მონაწილეობა და არც მალავდა ამას, უცბად მოგვიცილა თავიდან, ვიღაც ქალბატონთან შევედით, მზად იყო ალბათ ყველაფერი, ხელი მომაწერინეს რაღაცეებზე, არც კი წამიკითხავს, ან რა აზრი ჰქონდა იმ ქაღალდების კითხვას. ამ ქალბატონმა ცოტა ხნით დალოდება მთხოვა, დერეფანში გამოვედი, სიგარეტს მოვუკიდე. **დერეფანში მარეგულირებელი კომისიის რამოდენიმე თანამშრომელი აშკარად თანამიგძნობდა- ამას რას უკეთებენ ადამიანსო-, თუმცა ხმამაღლა თავიანთ ამ პოზიციას ვერავინ ვერ აფიქსირებდა.** ამის მოსმენის შემდეგ, ნამდვილად გავიფიქრე, მივატოვებ ეხლა ყველაფერს, წავალ სახლში და რაც უნდათ ის უქნიათთქო, მაგრამ ყველაფერი უცბად გამახსენდა, ყველაფერი რაც გადამხდა, ვერ გავბედე. დამიძახეს ისევ, რაღაცაზე კიდევ მოვაწერე ხელი და წამოვედი. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი რა საშინელი ყოფილა უსუსურობა, მე ვიყავი უსუსური! ციხეში რაღაცის თუ ვიღაცის იმედი მაინც მქონდა, აქ კი უკვე უძლური ვიყავი. თანხა 10 000 ლარის დღგ მეორე დღესვე ჩამირიცხეს, იმ 10 000 ლარის არაფერი არ ვიცი დღესაც, წერილი კი მივიღე, რომ **ეს თანხა ჩემს ნაცვლად გადაიხადა „გლობალ მედია ჯგუფმა.“** საიდანღაც უცბათ გახმაურდა ეს ამბავი, ნანა ლეჟავამ გააკეთა გადაცემა ამ საკითხზე, კვირის რეპორტაჟში, დაიწერა გაზეთ „რეზონანსში,“ „ქრონიკაში“, ძალიან ჩხუბობდა ბ-ნი დავით ზილფიმიანი (პირველი სტერეოს დამფუძნებელი), ახმაურდა რაღაც ჟურნალისტთა ასოციაციაც, მაგრამ როგორც ჩანს, ეს არც არავის ანაღვლებდა, როგორც იტყვიან ძალა აღმართს ხნავს, ვერც მე გავბედე გამომეყენებინა ამ ავტორიტეტული გამოცემების და ცნობილი პიროვნებების საშველად გამოწვდილი ხელი, მათ მეტის გაკეთება უჩემოდ აღარც შეეძლოთ. არავის არ სჯეროდა, არავის, რომ მე ეს ჩემი ნებით ვქენი, რა მექნა, ვამტკიცებდი უსირცხვილოდ, რომ ჩემი და ჩემი პარტნიორის ნებით მოხდა ყოველივე, - და თავჩაღუნული წავიდა სახლში.. იმის მერე ჩემი პარტნიორი აღარც მოსულა სამსახურში თუმცა ჩემს პარტნიორს მაინც წამოცდა ნანა ლეჟავას ჟუნალისტთან —

მარი კოძ

**ეხ შვილო, რკინა ვერ გაუძლებდა იმას რასაც ჩვენ გავუძელითო, ცოცხლები რომ ვართ და ვსუნთქავთ, იგი უნდა გიკვირდესო. ნებით არა, სულ ხვეწნა-ხვეწნით მივეცით მაგი რაცხა ლიცენზიააო, ახლა გინდა დეიჯერე და გინდა არაო. ამდენი ნერვიულობის შედეგად ძალზედ სერიოზულად შეერყა ჯანმრთელობა.**

2013 წელს ამ ლიცენზიის საკითხი კვლავ წამოტივტივდა. მირეკავდნენ ვიღაც უცნობი ადამიანები და ნაცნობებიც, მთავაზობდნენ,

ხელისუფლება შეიცვალა და შანსი გაქვს შენი კუთვნილი მიიღოო, ასე თავხედურად რატომ უნდა შეარჩინოო მათ ეს უნამუსობაო. აღარ მინდოდა, ჯანმრთელობაც აღარ მაძლევდა საშუალებას ახალი ბრძოლის დასაწყებად, აღარც შემეძლო უკვე მათთან ჭიდაობა, რამეთუ ვიცოდი, ხალხი წლობით იბრძოდა საერთო მაუწყებლის ლიცენზიის მისაღებად და ამას ვერაფრით ვერ ახერხებდნენ, ჩვენი ლიცეზია 15-წუთში გადაგვაცემინეს ვიღაცასთვის, რაიმე სახის ნაცნობობა მაინც მქონოდა „ჯმჯ“-ის თუნდაც ერთ თანამშრომელთან. ასე უცერემონიოდ წაგვართვეს ლიცენზია, ამას ჩვეულებრივი მოკვდავები ვერ შეძლებდნენ, ამის უკან ვიღაც სერიოზული ფიგურა იმალებოდა, მაგ საკითხის გახსენებაც კი, უკვე ცუდად მხდიდა. დაურეკე „ჯმჯ“-ში ქ-ნს ვისი საკონტაქტო ტელეფონიც მქონდა და ვუთხარი, ჩემი ლიცენზიის თქვენზე გადმოცემის საკითხი კვლავ აქტუალური გახდა და იცოდეთ ამის შესახებო. მომენტალურად დამიკავშირდა ბ-ნი ლევან ყუბანეიშვილი (საზ. მაუწყებლის ყოფილი გენ. დირექტორი), მთხოვა შეხვედრა, არ შევხდი, უფრო სწორედ ვერ მივიცალე, ჩემი უფროსი ვაჟი შევახვედრე თბილისში და მან გადასცა ჩემი დანაბარები და პოზიცია ამ საკითხის გარშემო.

**ბ-ნი ლევანი ძალზედ თავაზიანი იყოო, როგორც გადმომცა ჩემმა შვილმა. მასვე განუცხადებია, ჩვენი იმიჯისათვის არ გვინდა მაგ საქმის გახმაურება და - ბ-ნ ავთოს როცა შევხდებით ნორმალურად დაველაპარაკებითო (რას გულისხმობდა არ ვიცი).**

ეგ იყო და ეგ, მიიღო ჩემგან ეტყობა გარანტია, რომ ჩივილს არ ვაპირებდი (ვისთვის მეჩივლა, ვიცოდი რაღაცეები და ამიტომაც არ გავასაჩივრე) და ამის შემდეგ აღარავინ არ შემხმიანებია მაგ თემაზე.

# „კუდის ძირითადი მოთხოვნა იყო, არავითარ შემთხვევაში არ ჩაგვერთო ჩვენს სამაუწყებლო ბადეში ტელეკომპანია „მაესტრო“

ტელემაუწყებლობისათვის შეძენილი 178 000 დოლარის ღირებულების აპარატურა, პრაქტიკულად გაგვინადგურდა, ვერც გაყიდვა მოვახერხეთ ყადაღების გამო და უკვე დიდი ხანია პრაქტიკულად საწყობში ყრია, ის უკვე გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლოატაციისათვის.

2011 წელს დაიწყო ჩვენი წამების შემდგომი ეტაპი. ახლა თუ შემოსავლების სამსახური, თუ სასამართლო, თუ ვიღაც კერძო კომპანია, ყველამ ერთდროულად მიმართეს აღმასრულებელ ორგანოს ჩვენი ქონების რეალიზაციის შესახებ. არსად ჩვენი თხოვნა არ ჭრიდა, ცოტა დრო მოეცათ, ავმუშავდებით ნორმალურად და ყველა ვალს დავფარავთო. ვიცოდი ისიც, რომ არსებობდა ტელეკომპანიები, რომლებსაც ბიუჯეტის ათეული მილიონობით ლარი ჰქონდათ დავალიანებები და არავინ მათ არ აწუხებდათ, მე კი 70 000 ლა–რისთვის მთელ ქონებას მიყიდნენ. ახლა აღმასრულებელ ორგანოებში დავიწყეთ სირბილი, ერთის შევაჩერებდით მეორე იწყებოდა, მეორეს შევაჩერებდით მესამე და ასე მთელი წელი. ბოლოს, როცა მივხვდი, რომ ვეღარაფერი ვეღარ გვიშველიდა, გავბედე და ფინანსთა სამინისტროს მივწერე თხოვნა საგადასახადო შეთანხმების შესახებ. პირველად უარი მივიღე, მეორედაც ვცადე და უკვე დააკმაყოფილეს ჩვენი თხოვნა, გაგვიფორმეს შეთანხმება, რა არ ვიბრძოლე, რა ზომას და ხერხს არ მივმართე, მაგრამ იმდენად იყო უკვე ჩვენი ბიზნესი დაგლახებული და დასუსტებული„ რომ სრულად მაინც ვერ დავფარე დადგენილ დროში საგადასახადო შეთანხმებით დადგენილი თანხა, ისევ აღადგინეს ძველი ვალი და დაიწყო ყველაფარი თავიდან. სიმწრიდან უკვე იძულებული გავხდი გამომეყენებინა პრეზიდენტის 2010 წლის 3-მარტის განკარგულება (რომლის გამოყენების არანაირი სურვილი არ მქონდა პრინციპულად) და მივმართე თხოვნით ისევ ფინანსთა სამინისტროს ვალების ჩამოწერის შესახებ, უარი მითხრეს, საგადასახადო შეთანხმება დაარღვიეო. ისევ მივწერე და კვლავ წარვადგინე ყველა სახის დოკუმენტაცია, თან მივწერე, რომ საგადასახადო შეთანხმება არც გვეკუთნოდა ჩვენ, ვინაიდან პრეზიდენტის განკარგულებით ჩვენი ვალები ბიუჯეტის წინაშე ავტომატურად უნდა ჩამოწერილიყო შემოსავლების სამსახურის მიერ— მეთქი. დამიბარეს ისევ ფინანსთა სამინისტროში და კვლავ იგივე პრეტენზია წამომიყენეს, თუ ეს განკარგულება გქონდა ხელთ საგადასახადო შეთანხმებას რაღას აკეთებდიო, რა მექნა, ვუთხარი კომისიის სხდომაზე ყველას, მაგ დროს ციხეში ვიყავი და ვინ გამომაყენებინებდა მაგ განკარგულებას მეთქი. დარბაზში სადაც სხდომა მიმდინარეობდა, სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. როგორც სჩანს მათთანაც მუშაობდნენ და იყვნენ წესიერი ადამიანები. გამომიშვეს დაგიბარებთო, მთელი თვე ველოდი, აქეთ უკვე აღმასრულებელი აუქციონს ნიშნავდა, წარვადგინე აღმასრულებელ ორგანოში ასლები იმ დოკუმენტებისა, რაც ფინანსთა სამინისტროში შევიტანე და ვთხოვე, პასუხამდე მაინც არ დანიშნოთ აუქციონი, კანონით მეკუთნის ვალების ჩამოწერა და იქნებ დააკმაყოფილონ ჩემი თხოვნა მეთქი, განმიცხადეს,— ეგ ჩვენი საქმე არ არისო (არსებული კანონი მართლაც არ ითვალისწინებს მსგავს შეღავათს) და მაინც დანიშნეს აუქციონი. იძულებული გავხდი დახმარებისათვის ჩვენი კუდის უროსისათვის მიმემართა (ბ-ნი გურამ ჩანტლაძე, მისი ოჯახი ააშენა ღმერთმა), მან მომიგვარა აუქციონის გადავადების საკითხი. ბედად მალე დამიბარეს დავების საბჭოშიც და ვალები ჩამომაწერეს. ასე გადავრჩით კიდევ ერთხელ. მაგრამ მოვიდა ისევ ახალი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და ისევ გავახსენდით კუდს, ოღონდ ერთი განსხვავებითმ ამ ეტაპზე უკვე გურიის კუდის უფროსი სხვა იყო, ბ-ნი გურამ ჩანტლაძე. როცა პირველად შემხვდა მოვუყევი გულწრფელად მთელი ჩვენი ისტორია. მთელი გულისყურით მომისმინა, რომ არა ბ-ნი გურამ ჩანტლაძე, დღეს ჩვენი ტელევიზია სხვის ხელში იქნებოდა. პრაქტიკულად მან უზრუნველყო ჩვენი უსაფრთხოება ახალი შემოტევებიდან, რომელიც უკვე ახალი გაცხოველებული ძალით იწყებოდა. როცა მოითხოვეს ჩვენი ტელევიზიის (და არა მარტო ჩვენი) მართვის უფლებით სხვისთვის გადაცემა, დამიბარა და მითხრა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენ საფრთხე აგაცილო თავიდანო, თუ რა თქმა უნდა შევძელი ესო. მან უზრუნველყო, რომ ტელევიზია მართვაში გადაცემულიყო ჩემს მიერ შერჩეულ პიროვნებას (ჩემს მეგობარს), ეს უკვე იყო გარანტია იმისა, რომ ტელევიზიას არ დავკარგავდით. როცა მართვაში გადაცემის საკითხზე თბილისში მარეგულირებელ კომისიაში ჩავედით, მანვე უზრუნველყო, რომ ხელშეკრულება ქონების მართვაში სხვისთვის გადაცემაზე რაც შეიძლება რბილი და უმტკივნეულო ყოფილიყო ჩვენთვის და დაარწმუნა თავისი ზემდგომი, რომ თვითონ იღებდა პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ჩვენ არ დავარღვევდით ხელშეკრულების ამ პირობებს. (დოკუმენტი მომზადდა მარეგულირებელში), და ბოლოს როგორც ჩანს ასეთი რბილი დოკუმენტით მაინც უკმაყოფილო დარჩა კუდის ხელმძღვანელობა (კონკრეტულად ვინ არ ვიცი) . უკვე ხელ-ახლა მოითხოვეს ხელშეკრულების შეცვლა (კუდიდან გადმოგზავნილი ახალი, უფრო სასტიკი პირობებით შედგენილი დოკუმენტი ინახება ჩემთან), ბ-ნმა გ. ჩანტლაძემ მოახერხა ისე, რომ ხელშეკრულება ფაქტიურად არ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, მან აცნობა ჩემი თვალის წინ თავის ზემდგომს, რომ ყველა მათი მოთხოვნა შესრულებული იყო, ამისათვის ბ-ნ გურამ ჩანტლაძეს უდიდესი ადამიანური მადლობა. არ იყო ეს საქმე ადვილი გასარისკი მისი მხრიდან. აქვე მინდა აღვნიშნო ოზურგეთის რ-ლი სასამართლოს ბ-ნი ლევან ნუცუბიძის ამაგი ჩვენზე, ის ყველანაირად ცდილობდა და თითქმის ითხოვდა კიდეც პროკურატურიდან ჩემთვის საპროცესო შეთანხმების გაკეთებას, არაფრით არ უნდოდა სასამართლო პროცესის დამთავრება, მე ამას ნათლად ვგრძნობდი. აი მოკლედ ყველაფერი რაც შემეძლო ამ საკითხებზე მეთქვა. რა თქმა უნდა უამრავი დეტალი არ მომიყვანია აქ, ალბათ არც არის საჭირო. შემდეგ კი.....................შემდეგ გათენდა, 2012 წლის 1-ოქტომბერი.

**—ბატონო ავთო, შესაძლოა კუდის ასეთი ყურადღების გამო დამატებითი კითხვები უნდა დაგვესვა, მაგრამ ჩვენ გვესმის თქვენი. თქვენ თქვენი ბიზნესის ნაწილობრივ გადარჩენა შეძელით, თუმცა ურეკში თქვენი პარტნიორის ოჯახზე წართმეული სასტუმროების შესახებაც მინდა გკითხოთ. რას აპირებთ ახლა, ქვეყანაში ხომ ხელისუფლება შეიცვალა?**

— ბუნებრივია, ამაზეც მაქვს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ მოატყუა ურეკის პოლიციის ყოფილმა უფროსმა საქართველოს პრეზიდენტი, როგორ ძალით გამოაცხვეს სასტუმროების თანამშრომლებიდან ურეკის პოლიციის უფროს ურიდიასათვის ვითომდა ქრთამის შეძლევის შესახებ, (ამით მან ოზურგეთის პოლიციის უფროსის თანამდებობა მიიღო) თუმცა ეს ვრცელი თემაა და თქვენ გაზეთს ამ თემაზე ექსკლუზიურად მივცემ ინტერვიუს. ჩვენ ამ ინტერვიუში იმ ორგანოს მუშაკებზეც მოგახსენებთ, რომლებმაც დადგმული სპექტაკლის ორგანიზება მოაწყვეს და დღეს „ქართული ოცნებაში“ ტრიალებენ. (ალბათ ახალ თანამდებობებს ელოდებიან!) იცით, მე თავს ვიკავებდი ამ თემის გასაჯაროებაზე, მაგრამ ახლა, როცა საპარლამენტო-საგამომძიებლო კომისიამ თავისით დამიძახა, კანონი მავალდებულებს სწორი ინფორმაცია მივცე. ამის პარალელურად სიახლეებზე ვმუშაობ. მამუკა ღლონტის თანადგომით, რეგიონის მსმენელს რადიო „მაესტროს“ მიღება თავისუფლად შეუძლიათ.

ამ კომისიის დიდი იმედი მაქვს. ამ კომისიის თავმჯდომარე ქ-ნი თინა ხიდაშელი გამოცდილი იურისტია. ბრძოლას ვაგრძელებ.

**—წარმატებებს გისურვებთ!**

# ზუგდიდის თეატრი ოზურგეთს სტუმრობდა

**ნინო ნიკოლაიშვილი**



შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრი ოზურგეთელი მაყურებლის წინაშე გურამ დოჩანაშვილის პიესის „ხორუმი ქართული ცეკვაა“ მიხედვით დადგმული ამავე სახელწოდების ორმოქმედებიანი სპექტაკლით წარსდგა.

რეჟისორი — ბადრი წერედიანი; მხატვარი — მარიკა კორკელია; ქორეოგრაფი —გიორგი ქობალია; ტექ. რეჟისორი — ნონა როგავა.

სცენის დეკორაციას ერთი, ჩვეულებრივი ქართული სოფლის გარემო წარმოადგენს. ამ გარემოს მკვიდრთ, 15 მსახიობისგან შექმნილ სახეებს ვერ გაურკვევიათ ევროპიანი არიან, თუ აზიიანი. აქ ჩვეულებრივი მოვლენაა ჭორი, დაბეზღება, გაუტანლობა, გაურკვევლობა, დაცინვა, სიცრუე, უტაქტობა, ველური ბუნება. ერთი თიქოს შეუმჩნეველი შტრიხია — ადამიანი №4 — ანუ მხილება საშიში მცდელობისა „ახალი ადამიანის“ ფორმირებისა წარსულისა და მომავლის გარეშე.

სპექტაკლის დასაწყისსა და მიმდინარეობის მთელ პერიოდს ფრაგმენტულად გასდევს „ქართლის ცხოვრება“. ამ ფრაგმენტების ფონზე რეალობა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებისა. რაც უცხო თვალისთვის უფრო ცხადად დასანახია და თითქმის აუტანელი. თუმცა ამ ფონს მიღმა არის დამალული, ბევრი რამ სასიკეთო. მთავარია ამისი გასაღები იპოვო სწორად. ამ სიკეთის გამოსავლენად გზას ხსნის ავტორი და საჭიროებაც ჩნდება სიკეთის ქმნისა. უცნაური ხალხი ვართ ქართველები. ამბობენ თავად პერსონაჟები. თავადაც უკვირთ ბევრი რამ. ქართული სულის გაღვიძებას ცდილობს ერთ-ერთი პერსონაჟი გოგი. უფრო სწორად ღირსებათა ამოქქვას მიძინებული სულიდან. აღწევს კიდეც საწადელს. თურმე სიყვარულიც შესძლებია ამ ადამიანებს, ერთგულებაც, გულმოწყალებაც მერე იუმორიც ჩნდება, გარდასახვის ნიჭიც და რაც მთავარია, შესაძლებლობა თავდაცვისა. ხორუმი ქართული ცეკვაა, ამ ცეკვაში განფენილია ყველა ის თვისება, რასაც ისტორიის გადასახადებიდან დღემდე მოუყვანია ერი, მერე მიძინებულა, როცა საჭიროება გამქრალა, მინავლებულა მთავარი არსი, მისი ადგილი კი უმსგავსობას დაუჭერია. ეს ადგილმონაცვლეობაა ტრაგედიაც და რეალობაც, სწრაფვა უკეთესისკენ და თვითმყოფადობისკენ. სმენას ხორუმის მუსიკა იპყრობს, პერსონაჟები ფხიზლდებიან, პიესის ავტორს და რეჟისორს სურს ეს სიფხიზლე გახადოს გადამდები. და მაინც, უცნაური ხალხი ვართ ქართველები. ხან საითკენ გადაიხრება გრძნობათა ისარი და ხან საითკენ. მთავარი საფიქრალი წინ არის. სმენას არ დაეკარგოს ის ხმოვანება, გულის სიფხიზლეს რომ დასდებს ფასს და სულსაც რომ მოჰფენს ნათელს..

# საანგარიშო კონცერტი მუსიკალურ სკოლაში

**ნინო ნიკოლაიშვილი**

მუსიკის სამყაროში, საზოგადოების იმ წარმომადგენლებმა იმოგზაურეს, რომლებიც წლის დასკვნით კონცერტს ესწრებოდნენ ოზურგეთის მუსიკალურ სკოლაში.



სკოლის აღსაზრდელებმა თავიანთ პედაგოგებთან ერთად, შესძლეს წარმოეჩინათ მუსიკის გასაოცარი ხიბლი, ის, რომ მუსიკა სულიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომია.

ესენი იყვნენ, მუსიკალურ სკოლასთან არსებული გოგონათა გუნდი ნათია გორდელაძის ხელმძღვანელობით, გოგონათა გუნდი ნელი ციმინტიას ხელმძღვანელობით, ხალხურ საკრავთა ორკესტრი გიორგი ჩიხლაძის ხელმძღვანელობით, მარიამ ჭკუასელი, ქეთი სურგულაძე, სალომე ლომთათიძე, მარიამ ბაკურაძე, სალომე ქურდიანი, მარიამ ღლონტი, დავით ქარჩავა, ნატანების სამუსიკო სკოლის მოსწავლე ნინო თოიძე. შესრულებული იქნა ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები.

კონცერტში მონაწილეობდა სკოლის კურსდამთავრებული, ელენე ლომაძე (ყოფილი პედაგოგი ლეილა ლომაძე), ამჟამად ბათუმის ნიჭიერთა სკოლის I კურსის სტუდენტი.

ოზურგეთის კულტურის სამსახურის უფროსმა მაია თანდილაშვილმა ოზურგეთში ჩატარებულ კლასიკური მუსიკის ფესტივალის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ბათუმის კლასიკური მისიკის ფესტივალზე, კულტურის სამინისტროს მიწვევა გადასცა ფესტივალის მონაწილე გუნდის შემადგენლობას (ხელ-ლი ნათია გორდელაძე).

—ჩვენი სკოლის პედაგოგები ძირითადად ამ სკოლის კურსდამთავრებულნი არიან სხვადასხვა პერიოდში. ჩვენ არ გვეშინია პროფესიონალიზმის, ჩვენ გვჭირდება თანადგომა ხელისუფლების მხრიდან, რისი იმედიც გვაქვს, — აღნიშნა სკოლის დირექტორმა ლელა შარაშენიძემ. სკოლის ერთ-ერთ დიდ პრობლემად რჩება მუსიკალური ინსტრუმენტები.

პედაგოგებს შეხვდნენ გამგებლის მოადგილეები გიორგი ღურჯუმელიძე, ირაკლი სირაძე, რომლებმაც თანადგომა აღუთქვეს მათ.

# საქართველოს სიყვარულის გაკვეთილი.

**ნინო ნიკოლაიშვილი**

ჩვეული საზეიმო განწყობა და რაც მთავარია აღმზრდელ-აღზრდილთა სიყვარული სუფევდა ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის ნანი სალუქვაძის სამუშაო ოთახში.



— საყვარელო ბავშვებო, გილოცავთ სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებას, იყავით ბედნიერები, მიყვარხართ! დაფაზე წარწერილ ამ სიტყვებს თან ერთვოდა სხვა მოფერებაც. — 24 მზის სხივი და 24 მოციმციმე წყვილი თვალი, ეს ნანი მასწავლებლის მეორეკლასელებია. დროებით დამშვიდობება სკოლასთან და მხიარული ზაფხულის დასაწყისი, ზღაპრის გმირთან ნაცარქექიასთან შეხვედრით დაიწყეს პატარებმა. კითხვაც დაუსვეს — ნაცარქექია შენ ტყუილები გიყვარდა ბავშვობისას? — ჩაღიმილებულ ზღაპრის გმირს ამაყად მიაგება მასწავლებელმა — ჩემი ბავშვები არ იტყუებიან.

შემდეგი ნაწილი პოეზიის 5 წუთი საქართველოს სიყვარულს მიეძღვნა.— ვინ იცის, XXI საუკუნეში ამათი პატარა ხელები რას გამოჭედავენ ერის სასარგებლოდ, ლოცვა-დამოძღვრა ერთმანეთს მიაყოლა მასწავლებელმა. შემდეგ აფორიზმები გაიხსენეს. მიეახლნენ უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“. წარჩინებული მოსწავლეებიც დააჯილდოვა ნანი მასწავლებელმა სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით, წიგნებად აკინძული წლის ნამუშევრებიც გადასცა. გაწეული უდიდესი შრომა, გულწრფელი პასუხებით დაუბრუნეს აღმზრდელს პატარებმა ანასტასია ვაშალომიძემ ლექსიც მიუძღვნა.

მხიარული არდადეგების დაწყება მიულოცეს პატარებს სკოლის დირექტორმა მაია თავართქილაძემ, ოზურგეთის დრამატული თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ლია კილაძემ, თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვახტანგ გიგინეიშვილმა. რომელმაც თანამშრომლობა შესთავაზა ბავშვებს, — ბავშვებო, მომავალი სასწავლო წლიდან გააკეთეთ სურვილების სკივრი და ჩადეთ თქვენი სურვილები, ჩვენ შევეცდებით შეგახვედროთ თქვენს სასურველ ზღაპრის გმირებს.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

| № | დასახელება | მისამართი | მიწის ნაკვეთის ფართი მ$^2$ | ძირ. შენობის ფართი მ$^2$ | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) | “ბე” (ლარი) 30% | “ბიჯი” (ლარი) 5% | მონაწილის ბილეთის ფასი | მიწის სარე-გისტრაციო ნომერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურ-ნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, დაბა ურეკი | 168 კვ.მ. | ---- | 6720 | 2016 | 336 | 30 | 26.28.13.188 |
| 2 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, შემოქმედელის ქ. | 270 კვ.მ. | ---- | 2289 | 668 | 114 | 30 | 26.26.45.030 |
| 3 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, ქობულაძის ქ. | 431 კვ.მ. | ---- | 4410 | 1323 | 221 | 30 | 26.26.52.011 |
| 4 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, ქობულაძის ქ. | 480 კვ.მ. | ---- | 4900 | 1470 | 245 | 30 | 26.26.52.012 |
| 5 | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, აღმაშენებლის ქ. | 740 კვ.მ. | 161.6კვ.მ. | 4000 | 1200 | 200 | 30 | 26.26.58.049 |
| 6 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, შემოქმედელის ქ | 300 კვ.მ. | -------- | 2440 | 732 | 122 | 30 | 26.26.45.007 |
| 7 | შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, სოფ. ასკანა (ყოფ.ფურნე) | 1000 კვ.მ. | 182.2კვ.მ. | 3501 | 1050 | 175 | 30 | 26.22.14.008 |
| 8 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ოზურგეთი, სოფ. ნატანები (შეკვეთილი) | 150 კვ.მ. | ------- | 3830 | 1149 | 192 | 30 | 26.01.45.397 |

## სააუქციონო პირობები:

ა. საპრივატიზებო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში

## საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:

ა. ვალდებულების აღება საააუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე.
ბ. აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება.

## აუქციონში მონაწილეობა:

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

## აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2. „ბე“- ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

— აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება

— „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შეტანილი უნდა იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ა/ნ 300663205

— დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ კომისიაში“

მისამართი. ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

— აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა 2013 წლის 24 ივნისიდან 2013 წლის 9 ივლისის 12 სთ-მდე. (დ)

— აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 9 ივლისს 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

— ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი კომისია“ ტელ: 895908977, 895305033, 895906305.

# ბატონ კოტე შარაშენიძეს

კვირიკეთის საჯარო სკოლის დაწყებითი კათედრის პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები მადლობას უხდიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ კოტე შარაშენიძეს, რომელმაც დაგვიფინანსა ერთდღიანი ექსკურსია ოზურგეთი-ბათუმი, გონიოსარფის მიმართულებით.

**კვირიკეთის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების კათედრის პედაგოგები**

# ტურნირი თხინვალში

სოფ. თხინვალში ჩატარდა კახა ბაქანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ოზურგეთის სასპორტო სკოლის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა სოფ. თხინვალის თემისა და სასპორტო სკოლის ერთობლივი ინიციატივით. ტურნირში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის, სუფსისა და ოზურგეთის სასპორტო სკოლის ჯგუფების 100-მდე სპორტსმენი.

2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ:
23 კგ. ავთო მამალაძე (ლიხაურის ფილიალი, მწ. ალ ბოლქვაძე);
26კგ. გიორგი თოხაძე (დავით მელუა);
29 კგ. გოჩა ირემაძე (გურამ მაჭარაშვილი);
32 კგ. ანზორ ხურციძე (ლიხაურის ფილიალი, ალ. ბოლქვაძე);
35 კგ. გიო შოთაძე (ლანჩხუთი, ზაზა ღლონტი);
38 კგ. კახა ფუტკარაძე (გურამ აბაშიძე);
42 კგ. რატი წიკლაური (თენგიზ მუჯირი);
48 კგ. ლუკა ზაქარიაძე (ლიხაურის ფილიალი, ალ. ბოლქვაძე);
54 კგ. ომარ სირაძე ( თხინვალი, თენგიზ ლაბაძე);
60 კგ. გიორგი ხურციძე (გურამ აბაშიძე);
69 კგ. გიორგი ზოიძე (ლანჩხუთი, ეწერი, ზაზა ღლონტი);
მძიმე – საბა ცეცხლაძე, (ლიხაურის ფილიალი, ალ ბოლქვაძე).

1998-99 წლებში დაბადებულთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდნენ:
54 კგ. ერეკლე ბაბილოძე ( გურამ მაჭარაშვილი);
59 კგ. ვაჟა გოთუა (ლიხაურის ფილიალი, ალ. ბოლქვაძე);
66 კგ. დათო ბაკურაძე (ძმები ზურაბიანები).

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებით და პრიზებით.

# „ელეგანტი“ „ქუჩის მუსიკოსებს“ უმასპინძლებს




2013 წლის 28 ივნისს, საბანკეტო დარბაზი „ელეგანტი“ გეპატიჟებათ ქუჩის მუსიკოსების (გია დავითიანი, ხვიჩა მაღლაკელიძე, გუჯა მარდალეიშვილი, გიორგი კობახიძე, თამუნა რაზმაძე და სხვები) კონცერტზე. მოსაწვევის ფასი 30 ლარი. ფასში შედის ევროპული სუფრის ღირებულება.



ტელეფონი: 599 25 00 51; 599 91 03 50. (რ)

# ულოცავთ!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია გულწრფელი სიყვარულით ულოცავს გამედნიერებას ახალგაზრდა პედაგოგს ნონა მელუას. უსურვებს უზღვავ სიხარულს, სიყვარულს, სიმრავლეს, იმედითა და რწმენით აღსავსე დღეებს. იცავით დღეგრძელი. არასოდეს გაგნელებოდეთ ერთმანეთის სიყვარული.

დვაბზუს წმ. გიორგის ეკლესიის მოძღვარს, მამა შალვას (ჯინჭარაძე) ვულოცავთ შალვობას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას.

ეკლესიის მრევლი,

ნატალია, თებრონე, მაია ქობიშვილები.

# ცისანა ბუცურეიშვილი–ურუშაძე

## ბჟუჟის წყალო

უკვდავებად მომდინარო,
ოზურგეთის დედოფალო,
გთხოვ; მიამბო, ჩემი სატრფო
როგორ არის ბჟუჟის წყალო?
უიმისოდ ქარაშოტი
იცი? ბევრი ვნახე, წყალო,
უცხო მხარეს განატყორცნი,
შემავედრე, შემიწყალოს.
თუ დუმილით შეხვდეს თხოვნას,
მუდარით არ დამიღალო.
 მხოლოდ ამის მწარე ცოდნა
 გევედრები, დამიმალო.
 ამჯერად კი კორდის გულში
როს დინება დაახანო,
 დააკვირდი: თაიგულით
იქნებ სადმე დაინახო.
თვით ტირიფის ცრემლს გავყვები,
 ბილიკიც არ დავიწუნო,
ოღონდ ნატანჯ-ნაწვალები
სიყვარული დავიბრუნო.
შენ კი ვინძლო კეკლუც ქროლვად
ეს ტალღები ამთაბარო,
ერთგულების ჩემსკენ ლტოლვა
როგორ ადრე მომახარო.
შემდეგ ისე იკისკისო,
იცქრიალო, იჩქრიალო,
ჟრიამულის უბნის თვალო,
მოჟღურტულე ბჟუჟის წყალო!

## ოზურგეთო ჩემო

ჩემო სილამაზევ, ჩემო სინარნარევ,
შენს მშვენიერ ქუჩებს, ხავერდოვან
ბუჩქებს
უნდა ვენაცვალო, უნდა ვეთაყვანო,
ოცნებათა ფრთებო—ოზურგეთო ჩემო.
შენს მჩქეფარე წყაროს უნდა დავეწაფო,
ჩანჩქერების ჩქერში უნდა განვიბანო,
მთათა მწვერვალიდან ნიავს დავაბარო;
რომ შენ ჩემი გაზაფხული, ნატვრის
თვალი ხარო.
გთხოვ: ღვთიური კალთა ისევ დამაფარო!
ყვავილოვან ბაღნარებში უნდა ვისეირნო,
ჩემს საყვარელ ვარდებს უნდა ჩავეხუტო,
რა ხანია, რომ ვერ გნახე, აღარ
გამებუტო,
გამიღიმე, შემირიგდი, ოზურგეთო ჩემო!
 ნუ მომშლოდეს შენი ხილვა სილამაზის,
შენი სიყვარულის —ჩემი სიამაყის,
შენი ნაზი შემოხედვა
 ახალ ძალით მავსებს,
ჩემო მზეო და ცისკარო,
ჩემო მთვარე სავსევ.
ჩემი გულის სასანთლეო, მომიმსახურეო,
 უკვდავების ნამი ისევ მასხურეო,
 მომეყვავილეო, მომეალერსეო,
ანგელოზთა ბაღ-ედემო, ოზურგეთო ჩემო!
1986 წ.

# მზეჩაუქრობელი ლექსები



ქართული მწერლობის მდიდარ შემოქმედებით ტრადიციებზე დაყრდნობით, მურმან დუნდუამ შექმნა ახალი კრებული „მზეჩაუქრობელი ლექსები.“

მურმან დუნდუა უძველესი ტრადიციებით დახუნძლული გვარის წარმომადგენელია, დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ მარანში, საქართველოში გამორჩეულ სადროშოში, სამეგრელოში.

იგი ადრიდანვე ეზიარა სამხედრო ხელოვნებას, მის მქუხარე ცხოვრებას მოსვენება არ ეწერა და ამის მიუხედავად, მან შეძლო ლექსთა სამი კრებულის გამოშვება. სასიამოვნო ფაქტია, რომ პოლკოვნიკმა ეზიარა პოეზიას, რომლის ლექსები ქვეყნის წინაშე ადამიანის მოვალეობის იდეალითაა შთაგონებული. მურმანს ბევრი აქვს მიძღვნითი (მადრიგალი) ლექსები. შემოქმედებითად აითვისა რა ეროვნული ტრადიციები, მეგობრობა წინა პლანზე დააყენა. მიძღვნით ლექსებს კონკრეტული ადრესატები გააჩნია. მის ლექსებში ჩანს ადამიანისადმი უნაპირო სიყვარული. ბევრს ლექსში სევდის მოტივებსაც ვკითხულობთ:

**„ნიკოფსიიდან დარუბანდამდის**
**სამშობლო ჩემი ფარავდა,**
**დღეს კი ჭინჭრაქას სადარად**
**იგი მთლად დაპატარავდა.“**

რუსთაველის პოეზია ხომ სიყვარულის უკვდავი ჰიმნია, იგი არც მურმანისათვის არის შორეული და მიუწვდომელი. მართალია ვარდისა და ბულბულის სიმბოლიკები არ მოუშველებია სატრფიალო ლირიკის შესაქმნელად, მაგრამ მოკრძალებით უმღერა სიყვარულს:

**„ფერი იცვალა ცხოვრებამ**
**შავად გადმექცა თეთრი**
**სხვა არაფერი არ მინდა**
**ხმა მომაწვდინე ერთი.“**

ჩვენ ადამიანებს, რომლებსაც საზოგადოებრივ მნიშვნელოვანი მდგომარეობა გვიკავია, გვავიწყდება, რომ ჩვენს გვერდით მწერლები არიან. მურმანს ეს არ ავიწყდება და მიმართავს მათ:

**„ხმა ამოიღეთ მწერლებო**
**მაჯის ცემა ხართ ერისა,**
**შოთას სული თუ დაეცა**
**უფალიც ვერ გვიშველისა.“**

საკმაოდ მაღალ დონეზეა დაწერილი რობაიები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პოეტის ან მწერლის აღიარებას დრო სჭირდება. ერთ ადგილას მურმანი გულდაწყვეტილი ამბობს:

**„დღეს უმოწყალოდ ჩემს ლექსებს**
**თავს აცვეს ეკალ ბარდები,**
**მოვა დრო აყვავდებიან**
**როგორც ია და ვარდები.“**

ვუსურვოთ მურმანს ჯანმრთელობა, ჯაჭვის პერანგი არ გაეხადოს და ასე შემართებით შეგებებოდეს ცისმარეს.

მუდამ ფხიზელი იდგეს (დროებით მხარმოტეხილ) მის სათაყვანებელ საქართველოში.

მწერალი **ანა დუნდუა**

# ღია პირველობა ტაეკვან-დოში

ოზურგეთის სპორტის სასახლეში ჩატარდა გურიის ღია პირველობა ტაეკვონ-დოში, სადაც 30 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. ოზურგეთის სკოლიდან ჩემპიონები გახდნენ: 25-30 კგ. ელენე დუდუჩავა (გოგონებში I, ვაჟებში II ადგილი);

35-40 კგ. საბა ჭელიძე; 58-60 კგ. რამაზ კახაძე; 60-65 კგ. ლუკა დათუნაშვილი; 75-ს ზემოთ ჯემალ ბაუჟაძე.

ჩემპიონებს გადაეცათ დიპლომები და მედლები. 5 სპორტსმენი დაჯილდოვდა შავი ქამარი I დანის სერთიფიკატით, (მათ გამოცდა ტაეკვონ-დოს ფედერაციის პრეზიდენტს, შავი ქამარი VII დანის მფლობელს ალექსანდრე გონგაძეს ჩააბარეს). ალექსანდრე გონგაძემ დააჯილდოვა ოზურგეთელი სპორტსმენები: რამაზ კახაძე, შუქრი ჩხარტიშვილი, ნინო ხუტულაშვილი, ჯემალ ბაუჟაძე, თემურ ღლონტი.

ტურნირი საქართველოს ტაეკვონ-დოს ფედერაციამ და ოზურგეთის ტაეკვონ-დოს სკოლამ დააფინანსა.

14 ივნისს ოფიციალურად დაფუძნდა გურიის ტაეკვონ-დოს ფედერაცია ( ო. ბაკურაძე, რ. კახაძე, დ. ქუტიძე, ჯ. ბაუჟაძე). ფედერაციის თავმჯდომარედ ირაკლი ტულუში აირჩიეს. ჯემალ ბაუჟაძემ და რამაზ კახაძემ ავსტრიიდან სამწვრთნელო ლიცენზიები მიიღეს. ასე, რომ სექტემბრიდან რეგიონის ტაეკვონ-დოს ფედერაცია 4 სკოლით იფუნქციონირებს. ირაკლი ტულუში, რამაზ კახაძე, ჯემალ ბაუჟაძე და ფედერაციაში შედის აგრეთვე ურეკის სკოლიდან გიორგი ბერიძე.

ოქტომბერში, ესპანეთში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ოზურგეთელმა სპორტსმენებმაც უნდა თქვან სიტყვა. ჯერი სპონსორებზეა.

შვილები ნინო, კახა დგებუაძეები; ცოლისდა ნანული (ეთერ) აბაშიძე იუწყებიან **ჯუმბერ შოთას ძე დგებუაძის** გარდაცვალებას.

პანაშვიდი 24.06. 17 სთ. დაკრძალვა 25 06. 15 სთ. ქ. ოზურგეთი, გამსახურდიას ქ. №19.

შპს „საქართველოს ფოსტას“ ოზურგეთის სერვისცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებს ნინა მახარაძეს და სამსონ მალაზონიას შვილის **მაკა მალაზონიას** გარდაცვალების გამო.

ქ. ოზურგეთის №2 საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის **ჯუმბერ დგებუაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე